

၁၆၂ ၉၂

କୃତ୍ୟାମନୀ

Language and Culture

Bende· auch groß welt ynt stye vermeigende· also das die sarrac
persy· medi vnd Assirij· yr anstosser oder nad
zen· vnd wie wol diß volck vff att sy
sign· noch dan forchte eh die selben in
selben geforchtet vñ selten geleydiger· Sie leissen Georgiani vñ
Georgio dem heilgen ritter den sie fur eyne person vñ
furter haleen· vnd eten ynen mit groff
wan sie zu veld vñ zyegen yn stridt· Von duen lüchēn wonen vñ
rusalem· vil heiliger stett yn habende· doch besunder den Berg Ca
vnd das loch dar yn das cruz stund yn eym welsen der auch ryß
tus am cruz verschyede· By dem selben ort haben su ein altar
neynlischen eynen von den yren dar ymme verslossen denien zu be
dar zu haben sie yn gebruch die byrth der heiligen engel· do er
uñ Anne deß bischoffs stund· dar yn vnser Herr vñ dc ößberg zu
ward gefüret t̄c. Item dise Georgiani volgen nach den kried
in allen yren artikelen vn pttümen auch yn den sacramenten· der
ecken als wol scismatici oder ungehorsam der Römischen Kyrd



hun· Die georgianischen edlen frauen zyegen auch vñ yn stryd
gebruch zu weer yn maß wie die Amazones·frauen also genat· d
zygen h̄enn haben· Die menner diser nacionen zyegen yt herz
haer· vñ lassen eh nūmer abscheren· Und tragen h̄och vff yren ha
von mancherley farwe· yn den göttlichen ampten vñ geschrisster
hen sie kriechesch zungen vñ sprach· aber sust die sarracensisch oder
mancherley alymperie armenische schriften han.

თბილისის ი.ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენა

და

კულტურა

LANGUAGE
and
CULTURE

ფილოლოგიური სერია №1, 2004



თბილისი

ნინო თევზდორაძე

ინტერსუბიექტურობის პრინციპი და შინაგანი მეტყველების ტიპოლოგიზაცია

თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში მიჩნეულია, რომ ნებისმიერი კომუნიკაციური აქტის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს წარმოადგენს ორი სუბიექტი (ორი კომპონენტი) – ადრესანტი და ადრესატი. მაშასადამე, ნებისმიერი კომუნიკაციური აქტი უცილობლად გულისხმობს როგორც ადრესანტის, ასევე ადრესატის არსებობას. ასევე ცნობილია, რომ კომუნიკაციურ აქტში დომინირებს ადრესანტი, რამდენადაც სწორედ ის არის ნებისმიერი ტექსტის უშუალო „ავტორი“. „მეტყველი სუბიექტი მოცემულ მომენტში (აქტუალიზაციის მომენტში) თითქოსდა ითვისტებს მთელ ენობრივ სისტემას და იყენებს მას თავისი მეობის, თავისი ეგოს გამოსახატავად“ (1, 93). მაგრამ ადრესანტის მეტყველება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებლად გულისხმობს იმასაც, რომ მსმენელმა სუბიექტმა, ანუ ადრესატმა იგი მიიღოს. „ნებისმიერი მეტყველება, ნებისმიერი ფორმით რეალიზებული, ყოველთვის ვინმესადმი არის მიმართული, ანუ ყოველთვის გულისხმობს ადრესატის არსებობას“, მიიჩნევს კდოლინინი (2, 51). მაგრამ ადრესატი, როგორც იგი აღნიშნავს, ყოველთვის არ არის კონკრეტული და რეალური სახით წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, იგი ადრესატის რამდენიმე ტიპს გამოყოფს (2,51):

1.ადრესატი შეიძლება არსებობდეს სიკრცესა და დროში (მაგ. ადრესატს შეიძლება წარმოადგენდეს შთამომავლობა);

2.ადრესატი შეიძლება იყოს განუსაზღვრელი, განზოგადებული, მრავლობითი (მაგ. მაყურებლები, მკითხველები და ა.შ.);

3.ადრესატი შეიძლება იყოს წარმოსახვითი (იგი, შესაძლოა, რეალურად არ არსებობდეს და მხოლოდ ადრესანტის მიერ იყოს წარმოსახული).

დღევანდელი კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყოველ კომუნიკაციურ აქტში გვაქვს არა მხოლოდ ორი სუბიექტი (ორი კომუნიკანტი), არამედ მათ შორის ურთიერთმიმართებაც, ანუ ინტერსუბიექტურობა. იმ შემთხვევაში, თუ პრაგმატიკის ბირთვად მივიჩნევთ სუბიექტს, მიიჩნევს გლებანიძე, მაშინ სუბიექტისა და სუბიექტურობის შინაარსი ბევრად უფრო გაიზრდება, ვინაიდან კომუნიკაციის აქტში გვაქვს არა მხოლოდ ურთიერთმიმართება მეტყველ სუბიექტსა (ადრესანტსა) და მსმენელ სუბიექტს (ადრესატს) შორის, არამედ „ორმაგი მიმართება სუბიექტებს შორის, მეტყველ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის, მსმენელ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის“ (1,93).

მოცემულ სტატიაში ჩვენი მიზანია პასუხი გავცეთ კითხვას, თუ რა მიმართებაში შეიძლება იყოს ინტერსუბიექტურობის მოდელი მეტყველების იმ ტიპთან, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ერთ-ერთ შესაძლო მიმართულებას მეტყველების შესწავლისას წარმოადგენს მისი დიქტომიზაცია – ანუ „შინაგან“ და „გარეგან“ მეტყველებად დაყოფა. ამგვარი მცდელობა ჩვენ გვაქვს ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნების მიჯნაზე მყოფ ისეთ ინტერდისციალინარულ სფეროში, როგორიცაა „ტექსტის ინტერპრეტაცია“. ასე მაგალითად,

კ.ქუხარენკო მიიჩნევს, რომ ნებისმიერ მხატვრულ ტექსტში პერსონაჟის „სამეტყველო პარტიაში“ შეიძლება გამოიყოს:

1) გარეგანი მეტყველება – როდესაც პერსონაჟი თავის ფიქრებსა და აზრებს გამოხატავს „წარმოქმული“, ანუ „გარეგანი“ მეტყველებისას. (აქვე დავსძენთ, რომ ტერმინი „გარეგანი მეტყველება“ მხოლოდ პირობითად იხმარება, რათა მან ფონი შექმნას შინაგან მეტყველებასთან დასაპირისაპირებლად);

2) შინაგანი მეტყველება – როდესაც პერსონაჟი მხოლოდ ფიქრობს, მაგრამ თავის აზრებს არ წარმოოქვამს (3,133).

იმისათვის, რომ პასუხი გავცეს ჩვენს მიერ ფორმულირებულ კითხვას, თუ რა მიმართებაში შეიძლება იყოს ინტერსუბიექტურობის მოდელი შინაგანი მეტყველების

ტიპთან, უნდა განისაზღვროს, თუ როგორ არის წარმოდგენილი ინტერსუბიექტურობის სტრუქტურული მოდელი თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში და რაზეა დამოკიდებული ამ მოდელის სტრუქტურა. ინტერსუბიექტურობის სტრუქტურაზე მსჯელობისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ რამდენიმე მეტად საგულისხმო გარემოება:

1. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავეყრდნოთ უკვე ზემოთ აღნიშნულ ფაქტს, რომ ადრესანტი და ადრესატი კორელატური ცნებებია;

2. აქსიომატურად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ საკომუნიკაციო აქტში დომინირებს ადრესანტი;

3. აქსიომატურად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ინტერსუბიექტურობის როგორც კომუნიკაციური სივრცის სტრუქტურა დამოკიდებულია ადრესატის რაგვარობაზე.

რა შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რომ ინტერსუბიექტურობის კომუნიკაციური სივრცე წარმოდგენილი იყოს სტრუქტურული სისრულით? ამგვარ სისრულესთან მხოლოდ მაშინ გვექნება საქმე, როდესაც ერთნაირი სიცხადით სახეზე იქნება ადრესანტიც და ადრესატიც. მაგრამ ზემოთ ნათქვამიდან (სახელდობრ კი დოლინინის შრომიდან მოყვანილი ციტატიდან) გამომდინარეობს, რომ არსებობს ადრესატის რაგვარობის დიდი მრავალფეროვნების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, როდესაც ვლაპარაკობთ ინტერსუბიექტურობაზე შინაგან მეტყველებისთან მიმართებისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ შინაგანი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ის სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც განაპირობებენ ინტერსუბიექტური სიგრცის მოშლას.

შინაგანმა მეტყველებამ მთელი თავისი სისრულითა და სპეციფიკით ფსიქოლოგირ პროზაში ჰქოვა თავისი რეალიზაცია. იგი „ჩეულებრივი“, „გარეგანი“ მეტყველებისაგან გაუხარენკოს კონცეფციაში იმ უპირველესი ნიშნით არის გამოყოფილი, რომ „არ არის გათვლილი კომუნიკაციურ აქტში მონაწილეობის მისაღებად. იგი არ არის მიმართული ადრესატისადმი, რათა მას გარკვეული სახით ინფორმაცია მიაწოდოს, არამედ თვითმიმართულია“ (3, 162).

რამდენად არის შესაძლებელი, რომ ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ვილაპარაკოთ ინტერსუბიექტურობის რეალიზაციაზე, თუკი ადრესანტის შინაგანი მეტყველება არავის მიმართ არ არის მიმართული? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ორი განსხვავებული მოსაზრება წამოიჭრება:

1. თუ შინაგანი მეტყველება არ არის გათვლილი რეალურ კომუნიკაციურ აქტში მონაწილეობის მისაღებად და ადრესანტის მეტყველება თვითმიმართულია, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იკარგება თვით ინტერსუბიექტურობა, რომელიც, როგორც ადინიშნა, აუცილებლად განისაზღვრება ორ კომუნიკანტს შორის ურთიერთმიმართებით;

2. თუკი ადრესანტი საკუთარ თავს აიგივებს ადრესატთან – მიმართავს საკუთარ თავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადრესანტი და ადრესატი ერთ პირში იყრიან თავს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ რეალურ ადრესატს ადრესანტისავე „მე“ წარმოადგენს, ანუ ხდება ორივე კომუნიკანტის ერთობლივი ინტერიორიზაცია. ასეთ შემთხვევაში, ხსენებული ინტერიორიზაციის შედეგად, კომუნიკაციური აქტის სტრუქტურა გარკვეული სახით მაინც შენარჩუნებულია: სახეზე გვაქვს ადრესანტიც | და ადრესატიც, თუმცა, ადრესანტის „მე“ და ადრესატის „შენ“ ერთმანეთს ემთხვევიან. ამგვარი მოსაზრების საფუძველს იძლევა თავად ვ-კუხარენკოს შემდეგი გამონათქვამი: „თუ ადრესანტის მიერ ადრესატისადმი მიმართული გარეგანი მეტყველება ისრის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც A1– A2, მაშინ შინაგანი მეტყველება ჩაეტილ სიმრუდეს წარმოადგენს – A12~ (3, 166).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კ.დოლინინის თანახმად, ნებისმიერი მეტყველება ვინმეს მიმართ არის გამიზნული და აუცილებლად გულისხმობის ადრესატის არსებობას, რომელიც სხვადასხვა ტიპით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ „ნებისმიერი მეტყველება“ შინაგან მეტყველებასაც გულისხმობდეს? ამ შეკითხვას თავად შინაგანი მეტყველების ტიპოლოგიზაციის პრობლემასთან მიკუთხოთ. ვ-კუხარენკო შინაგანი მეტყველების ფარგლებში გამოყოფს მის ოთხ სახეობას (ტიპს):

1) ცნობიერების ნაკადი

მისი აზრით, მხატვრულ ლიტერატურაში არსებული შინაგანი მეტყველების სხვადასხვა სახეებს კლასიფიკირის საფუძვლად თუ დანაწევრების ან მოცულობის კრიტერიუმებს დაუდებთ, „მაშინ უკიდურეს პოზიციას დაიკავებს ცნობიერების ნაკადი – ყველაზე ნაკლებ დანაწევრებული და ყველაზე დიდი მოცულობის მქონე“ (3, 163). იგი მიიჩნევს, რომ ცნობიერების ნაკადის ტექნიკა როგორც მწერლისათვის, ასევე მკითხველისათვის: „მწერალმა უნდა შექმნას ასოციაციურად განვითარებული ცნობიერისა და არაცნობიერის გასაოცარი ჯაჭვის, რაციონალურისა და ირაციონალურის, რეალობისა და გამონაგონის ეფექტი“ (3, 163). ხოლო მკითხველმა „ამ ძნელსაცნაურ ლაბირინტში“ რაღაც ლოგიკური საყრდენი უნდა გამოძებნოს, დაუკავშიროს იგი გარეგან მოვლენებს, განსაზღვროს ურთიერთობა მათ შორის. „ნაწარმოების კითხვა გადაიზრდება მრავალუცნობიანი განტოლების ამოხსნაში, სადაც შეუძლებელია ამომწურავი პასუხის პოენა“ (3, 163).

2) შინაგანი მონოლოგი

კუხარენკოს მიხედვით, შინაგანი მეტყველება ძირითადად სწორედ ამ ფორმით არის წარმოდგენილი. მკითხველი „პირველი ხელიდან“ იღებს „პირდაპირ რეპორტაჟს“ პერსონაჟის შინაგანი სამყაროდან. პერსონაჟი ასოციაციების საშუალებით მიმართავს წარსულის რომელიდაც მომენტს. შემდგომში, პერსონაჟის შინაგანი მეტყველება ვითარდება ასოციაციათა პრინციპის მიხედვით და მის შინაგან მონოლოგში „ითრევს“ ახალ-ახალ კვანძებს. შინაგანი მონოლოგი სიუჟეტის განვითარებას აჩერებს: პერსონაჟი ფიქრობს, მოქმედება კი ჩერდება, რათა აქტიურ ფაზას სწორედ იმ წერტილიდან დაუბრუნდეს, სადაც იგი გაწყდა შინაგანი მონოლოგის შემოსვლისას (3, 166-167).

3) ე.წ. „მცირე ჩართვები“ (малые вкрапления)

„მცირე ჩართვები“, კუხარენკოს მიხედვით, პერსონაჟის მყისიერი (ჩვეულებრივ ემოციური) რეაქციის გამოხატვას ემსახურებიან. იგი მიიჩნევს, რომ ეს მხატვრული მოვლენა სწორედ ამ ნიშნით (მყისიერი რეაქციის გამოხატვით) ემიჯნება შინაგან მონოლოგს, რომელიც პერსონაჟის ვრცელ შინაგან-ემოციურ მსჯელობას წარმოადგენს (3, 168).

4) ავტოლიალოგი

შინაგანი მეტყველების ეს ფორმა, მისი აზრით, ძირითადად კითხვა-პასუხის ფორმით არის ნაწარმოებში წარმოდგენილი.

კუხარენკოსეულ ტიპოლოგიზაციის გათვალისწინებასთან ერთად, ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გამოგერჩეს ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი: შინაგანი მეტყველების ეს ოთხივე ტიპი, როგორც ემპირიულ მასალაზე დაკვირვება გვაჩვენებს, ურთიერთშეღწევადობით ხასიათდება, ანუ შეუძლებელი ხდება მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება.

როდესაც ვლაპარაკობთ შინაგანი მეტყველებისას ინტერსუბიექტურობის რეალიზაციის „ხარისხზე“, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ზემოთ მოხსენებული ტიპოლოგიზაცია. ინტერსუბიექტური სივრცის გარღვევა თუ კვლავ აღდგენა, ჩვენის აზრით, სწორედ დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, თუ შინაგანი მეტყველების რომელ ტიპთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, ეს ტიპოლოგია ფუნდამენტურ გადასინჯვას მოითხოვს სწორედ იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელი გახდეს ინტერსუბიექტურობის რეალიზაციის დადგენა, რაც შინაგანი მეტყველების ცალკეული ტიპების განსაზღვრის გარეშე შეუძლებელია. ■

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ლებანიძე ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისი, 1998.
2. Долинин К.А - Интерпретация текста, М., 1985.
3. Кухаренко В.А. – Интерпретация текста, М., 1968.

თავისუფალი მუსიკის დაწყებულების ეფექტურობის შესახებ და მათ დამატებულ მომარტინიას და ამ მოძღვანელობების დამატებულ დაზღვანელობების შესახებ.

Nino Tevdoradze

INTERSUBJECTIVITY AND TYPOLOGIZATION OF INTERIOR SPEECH

Summary

The paper deals with the problem of intersubjectivity in relation with interior speech. According to Communicative Linguistics intersubjectivity is considered as a structural basis of the communicative act comprising two communicants – the addresser (sender of information) and the addressee (receiver of information). These two notions (addresser and addressee) are fundamentally correlative. Interior Speech is likely to reveal the tendency that the addressee (receiver) either coincides with the addresser (sender) or disappears. It might be considered that in this case the addresser also starts to disappear – as these two notions are correlative. This fact of disappearance may signify either serious “violation” or disappearance of the intersubjective space itself. The author intensifies the fact that this process should be further investigated not only on the basis of Interior Speech in general, but in relation with each separate type of interior speech – stream of consciousness, interior monologue, etc. The kind of investigation might lead to the final conclusion that intersubjectivity is apt to undergo qualitative transformation in each type of interior speech.